ვამტკიცებ
შპს. ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“
დირექტორი: /თამარ მაისურაძე/

ბრძანება: №69 04.10.2021 ბ.ა.

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

სასკოლო სასწავლო ოლიმპიადის

დებულება

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“ (შემდგომში -სკოლა), არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობის გაზრდისა და სასწავლო პროცესის სტიმულირებისა და მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლების მიზნით, ატარებს სასკოლო სასწავლო ოლიმპიადას .(შემდგომში-ოლიმპიადა).

მუხლი 1. ოლიმპიადის მიზანი

ოლიმპიადის მიზანია:

- სკოლის მოსწავლეებში განათლების ხელშეწყობა;
- მიღებული ცოდნის გამყარების, დამოუკიდებელი მუშაობისა და ინფორმაციის სინთეზის უნარების განვითარება;
- მოსწავლეების ინტერესის გაძლიერება უცხოური ენებისა და მათემატიკის დასაუფლებლად;
- სასწავლო პროცესის სტიმულირება და მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება.

მუხლი 2. ოლიპიადის მართვა და ძირითადი წესები

2.1. ოლიმპიადა ტარდება შემდეგ საგნებში;
ა. უცხოურ ენებში-ინგლისური ენა და რუსული ენა(შემდგომში უცხოური ენები)
ბ. მათემატიკაში
2.2. ოლიმპიადის ჩატარების მიზნით სკოლის დირექტორი, შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს ოლიპიადის საორგანიზაციო და შემფასებელ კომისიებს;
2.3. ოლიმპიადის გამართულად ჩატარებას უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომისია, რომელიც უფლებამოსილია განსაზღვროს საოლიმპიადე საკითხები და უზრუნველყოს მოსწავლეები შესაბამისი სამუშაო მასალებით.
2.4. ოლიმპიადის შემფასებელი კომისია უზრუნველყოფს ნაშრომთა შეფასებას ამ დებულებისა და დანართით გაწერილი კრიტერიუმების შესაბამისად;
2.5. ოლიპიადაში მონაწილეობა შეუძლია

ა. უცხოურ ენებში - III – XII კლასის მოსწავლეებს
ბ. მათემატიკაში - III - XII კლასის მოსწავლეებს

მუხლი 3. ოლიმპიადის ეტაპები და ვადები

3.1. ოლიმპიადა ტარდება 3 ეტაპად:
3.1.1ოლიპიადის პირველი ტური გულისხმობს ოლიპიადის II ტურზე გადასასვლელად საგნის გაკვეთილზე საგნის მასწავლებლის მიერ მომზადებული დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებას და საგნის მასწავლებლის მიერ ნამუშევრების შეფასებას. პირველი ეტაპის დაწყებისა და დასრულების თარიღს განსაზღვრავს სკოლის დირექტორი შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.
3.1.2.საგნის მასწავლებლის გადაწყვეტილების საფუძველზე, მეორე ტურში გადასული მონაწილეები სასკოლო ოლიმპიადაზე ასრულებენ დავალებას, რომელიც ჩატარდება

სკოლის საკონფერენციო ოთახში. ოლიმპიადის მეორე ტურის დაწყება/დასრულების თარიღს განსაზღვრავს სკოლის დირექტორი შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.
3.1.3.ოლიპიადის მესამე-შემაჯამებელ ტურში გადასული მოსწავლეები ასრულებენ დავალებას, რომელიც უცხოური ენების შემთხვევაში, შეესაბამება ევროპის საერთაშორისო სქემით განსაზღვრულ შესაბამის სტანდარტებს მოსწავლის ასაკისა და ენის ცოდნის დონის გათვალისწინებით. ოლიმპიადის მესამე ტურის დაწყება/დასრულების თარიღს განსაზღვრავს სკოლის დირექტორი შესაბამისი ბრძანების საფუძველზე. ოლიპიადის მესამე ტურში გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდებიან სასწავლო წლის გამოსაშვებ ღონისძიებაზე დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

მუხლი 4 მოთხოვნები საოლიმპიადო დავალებების მიმართ

უცხოურ ენებში:
4.1. ოლიმპიადის I ტურის დავალების შესაბამისობას განსაზღვრავს საგნის მასწავლებელი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეების ასაკს და ნასწავლი მასალის ცოდნას;
4.2. ოლიმპიადის II ტურის დავალებებს ადგენს საგნობრივი კათედრის წარმომადგენლები და ათანხმებენ სასკოლო ოლიმპიადის კომისიის წევრებთან.
4.3. ოლიმპიადის III ტურის ტესტებს უცხოურ ენებში ადგენენ შემფასებელი კომისიის წევრები და ათანხმებენ სკოლის დირექტორთან.
4.3. ტესტი შედგება შემდეგი სახის დავალებებისგან:
ა. ღია და დახურული ტიპის კითხვები;
ბ. ტექსტის ანალიზი;
გ. გრამატიკული და ლექსიკური ტიპის სავარჯიშოები;
დ. აკადემიური წერის საკითხები(წერილი, ესსე, სტატია, ა.შ)
ე. ოლიმპიადის III ტურის დავალებას ემატება მოსმენის ნაწილი.
4.4.ტესტების სირთულე უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლის ასაკს;
4.5. ტესტის საკითხების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 კითხვას.

მათემატიკში:
4.6.ოლიმპიადის I ტურის დავალების შესაბამისობას განსაზღვრავს საგნის მასწავლებელი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეების ასაკს და ნასწავლი მასალის ცოდნას;
4.7 ოლიმპიადის II ტურის დავალებებს ადგენს საგნობრივი კათედრის წარმომადგენლები და ათანხმებენ სასკოლო ოლიმპიადის კომისიის წევრებთან.
4.8. ოლიმპიადის III ტურის ტესტებს მათემატიკაში ადგენენ შემფასებელი კომისიის წევრები
4.9. ტესტების საკითხების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 კითხვას;
4.10. ტესტში უნდა შედგებოდეს:
ა. ღია და დახურული ტიპის ამოცანები;
ბ. ლოგიკური დავალებები
4.6. ოლიმპიადის II და III ტურის დავალებები გონივრულ დროში უნდა გადაეცეს საორგანიზაციო კომისიას, რათა დროულად მომზადდეს ტესტები დასაბეჭდად;

მუხლი 5. ოლიმპიადის ტესტების შეფასების პროცედურა

5.1. ოლიმპიადის II და III ტურის ტესტებს ასწორებს შემფასებელი კომისია.
5.2. ოლიმპიადაზე წარმოდგენილი ტესტები შეფასდება შემფასებელი კომისიის მიერ, ამ დებულებისა და დანართი №1-ით განსაზღვრული წესების შესაბამისად;
5.3. მეორე ტურში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს ის მონაწილე, რომელიც დააგროვებს ტესტის მაქსიმალური ქულის 60%-ს ან მეტს.
5.5. მესამე ტურში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს ის მონაწილე, რომელიც დააგროვებს ტესტის მაქსიმალური ქულის 70%-ს ან მეტს.
5.7. ოლიპიადის გამარჯვებულად გამოცხადდება ის მოსწავლე, რომელიც დააგროვებს ტესტის მაქსიმალური ქულის 80%-ს.
5.8 სკოლა იტოვებს უფლებას, მშობლის ნებართვის საფუძელზე, ინფორმაცია და ფოტოები წარჩინებული მონაწილეებზე განათავსოს სკოლის ოფიციალურ ელექტრონულ პლატფორმაზე.

მუხლი 6 ოლიმპიადის ტესტირებისათვის გამოყოფილი დრო

6.1.II ტურის ჩასატარებლად:
უცხოურ ენებში - 1 საათი
მათემატიკაში - 1. 30 საათი
6.1.2. III ტურის ჩასატარებლად:
უცხოურ ენებში - 2 საათი
მათემატიკაში - 2.30 საათი
6. 2. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შესაძლებელია დამატებულ იქნეს სხვა საგნებში ან / და გაუქმდეს ოლიპიადის ჩატარება ზემოთ აღნიშნულ საგნებში .